03/07/2026

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ჩეხეთის ელჩს შეხვდა

ამა წლის 2 ივლისს საქართველოს საპატრიარქოში უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი შიო III ჩეხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, ბატონ პეტრ კუბერნატს შეხვდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი, დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი და საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე.

ელჩმა მის უწმინდესობას პატრიარქად აღსაყდრება მიულოცა და მიღებისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაიხსენეს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მისი ღვაწლი, ისაუბრეს ჩეხეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებზე,

ღირებულებებისა და ტრადიციების მნიშვნელობაზე, ასევე, ზოგადად, ხალხებს შორის ურთიერთობაზე.

ელჩმა ისაუბრა იმ კულტურულ, საგანმანათლებლო, ეკონომიკურ თუ სხვა პროგრამებზე, რომლებიც საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის მხარდაჭერით ხორციელდება, ასევე კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერა.

შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. დასასრულ, მხარეებმა ერთმანეთს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

ფოტო: ირაკლი ტყემალაძე

sazu.ge